

თერჯოლის მუნიციპალიტეტსა და შ.პ.ს „ჯორჯიან პლასტიკს“ შორის

2018 წლის 30 ივლისს გაფორმებულ N94 ხელშეკრულებაზე

ქ. თერჯოლა

20 ნოემბერი 2018 წ.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე **NAT180009154** ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად თერჯოლის მუნიციპალიტეტსა და შპს „ჯორჯიან პლასტიკს“-ს შორის 2018 წლის 30 ივლისს გაფორმდა ხელშეკრულება N94 რომლითაც განსაზღვრულია ქ. თერჯოლაში ჯაბიძის ქუჩაზე წყალსადენის გარე ქსელის მოწყობა.

ხელშეკრულების მხარეები, ერთის მხრივ თერჯოლის მუნიციპალიტეტი (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის ბონდო სოფრომაძის სახით. მეორე მხრივ შპს „ჯორჯიან პლასტიკი“ (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი დირექტორის გურამ ნიკოლაძის სახით ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“ ხელშეკრულების მე-18 მუხლის საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე:

ხელშეკრულების შემდეგი მუხლები ჩამოყალიბდეს წარმოდგენილი რედაქციის სახით

• მუხლი 3. სამუშაოს შესრულების ვადა

1. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 29 ნოემბრის ჩათვლით

• 19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, გარდა ხელშეკრულებით განსაზღვრული იმ ვალდებულებებისა, რომელთა არსებობაც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე.

წინამდებარე შეთანხმება ძალაშია 2018 წლის 20 ნოემბრიდან და წარმოადგენს 2018 წლის 30 ივლისს გაფორმებული N94 ხელშეკრულების ნაწილს.

„შემსყიდველი“
თერჯოლის მუნიციპალიტეტი
ს/კ 231 946 623


მუნიციპალიტეტის მერი
ბონდო სოფრომაძე

„მიმწოდებელი“
შპს „ჯორჯიან პლასტიკი“
ს/კ 412685562


შპს „ჯორჯიან პლასტიკის“
დირექტორი გურამ ნიკოლაძე



თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ბონდო სოფრომაძეს

მოხსენებითი ბარათი

როგორც თქვენთვის ცნობილია, თერჯოლის მუნიციპალიტეტსა და შპს „ჯორჯიან პლასტიკი“-ს შორის გაფორმებული 2018 წლის 30 ივლისის N94 ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „ჯორჯიან პლასტიკი“ აწარმოებს თერჯოლაში ჯაბიძის ქუჩაზე სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობის სამუშაოებს. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით მოსაწყობია წყლის სადაწნეო კოშკი, რომელზედაც განთავსდება 50 მ³ ტევადობის ლითონის რეზერვუარი, რომელიც დღეის მდგომარეობით მოწყობილია საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, თუმცა ხარისხის გაუმჯობესების მიზნით უმჯობესია საყრდენი კონსტრუქციის ლითონის ელემენტებით დიაგონალურად გამაგრება, ასევე საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამორჩენილია რამდენიმე მოსახლესთან წყლის მიყვანა, რომლის შესრულებაც შესაძლებელია ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული გაუთვალისწინებელი ხარჯებიდან, აღნიშნული დამატებითი სამუშაოების საწარმოებლად კი საჭიროა მოხდეს სამუშაოების დასრულების ვადის გაზრდა 5 სამუშაო დღით.

ვახტანგ იამანიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი